ᲙᲘᲠᲘᲚᲐ 24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

ᲐᲛᲘᲜᲐᲡᲘ

№ 34 — ᲡᲐᲚᲐᲛᲣᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲘᲣᲛᲝᲠᲘ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ.

ᲔᲨᲛᲐᲙᲘ. ..ᲥᲐ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲐᲠᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ, ᲬᲐᲢᲝᲜᲝ ᲓᲐᲛᲤᲐᲡᲔᲑᲔᲚᲝ! ᲗᲣ ᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲡᲬᲝᲜᲐᲕᲡ ᲐᲛ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲙᲘ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐ ᲒᲘᲜᲓᲐᲗ, ᲓᲐᲐᲓᲔᲕᲘᲗ ᲐᲛᲐᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘ!

ქართული „კვარტეტი“.



ბ-ნნი: ლავრენტი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გუგული შინდისელი და ოფოფი ვარიანელი იმ-
ღერიან კონცერტს „ოფოფიადას“.

წინა დღეს.

ცნობილი ქართველი ვექილი, ჟორჟ ფრაზავა, აღელვებული დააბიჯებდა თავისი კაბინეტის ორ მოპირდაპირე კუთხეთა შორის. წინააღმდეგ ჩვეულებისა, მხოლოდ ხანდისხან გადახედავდა უზარ-მაზარ სარკეში თავისი პიროვნების გამოხატულებას და ხან ტკბილი ღიმილით, ხან ზიზღით აჯილდოვებდა მას. გასაოცარი ის იყო, რომ ღიმილის დროს სარკის გამონასახიც ღიმილით უპასუხებდა თავმომწონე ჟორჟს, ხოლო ზიზღის დროს ასეთივე ზიზღით. ამას ჩინებულათ გრძნობდა ნაფიცი ვექილი და სხვაფრივ მაინც ვერაფერი მოეხერხებია.

ადამიანის გვარში თითქო არის რაღაც საიდუმლო, რომელიც ხშირათ ახასიათებს ამა თუ იმ გვარის მატარებელს და გვარის მატარებელიც, ასე თუ ისე ამართლებს ხოლმე თავისი გვარის მნიშვნელობას.

ბ-ნი ფრაზავა, უკვე კარგათ ცნობილია, როგორც მარტო ფრაზების მოტრფიალე მგოსანი, ასეთივე ორატორი და საზოგადო მოღვაწე. თვით უწარჩინებულესი არქეოლოგი, თვით კვლევა-ძიებაში მოხუცებული მკვლევარი, მის პოეზიაში აზრს ვერ იპოვის, ხოლო ფრაზებს მრავალთ უმრავლესს. ალბათ აქედან წარმოსდგება იმისი უცხო გვარიც.

ახლა საჭიროა იცოდეთ, თუ საიდან წარმოსდგა დღევანდელი მისი აღელვება. ესეც სულ უბრალო ამბავია. ქართულ გაზეთ ,,გერში'' ჟორჟ ფრაზავამ მოათავსა ვრცელი წერილი, შესახებ სამხრეთ აფრიკის ერთი ეროვნებისა. საზოგადოთ ეროვნებაზე ვარჯიში მისი გემოვნების პირველი საქმეა. ამ წერილის გულისათვის ის სამართალში მისცეს და აი ხვალ, ის, ჟორჟ ფრაზავა, რომელმაც დაიცოათი ,,უბრალოთ დასჯილი'' ბოქაული, რომელმაც ხიფათს გადაარჩინა არა ერთი და ორი წარმომადგენელი მთავრობისა, თითონ უნდა წარსდგეს მთავრობის წინაშე და პასუხი აგოს უბრალო ფრაზებისათვის.

— ღმერთო ჩემო! ნუ თუ მე, რომელიც აგერ ხუთმეტი წელიწადია ვიღწვი მთავრობის თვალწინ, მისი გამგეობის ქვეშე და მისი ბრძანების თანახმათ, ნუ თუ მე უნდა დავისაჯო?!

მან სწრაფათ ჩაუარა სარკეს და მრისხანე თვალი გადაუტრიალა სარკეში გამომკრთალ არსებას.

— არა, განა მე არ ვიყავი, ერობის შემოღების საკითხში, თვით სამი ივნისის გმირებსაც კი გადავაჭარბე? განა მე არ ვიყავი, ვისაც ვიცე გუბერნატორობას უბედებდენ? ახლა კი თითონ მე, მე ჟორჟ ფრაზავა, უნდა წარვსდგე მთავრობის წინაშე და თავი ვიმართლო, როცა დანაშაული არასოდეს აზრათაც არ გამივლია? ეს რაღაც გაუგებრობა, ეს რაღაც სისულელეა.

ის მცირე ხნით შეჩერდა სარკის წინ, თვალებში მიაფურთხა შუშაზე მომდგარ შუა ხნის კაცს, რომელსაც მონაპარსი წვერ ულვაში ახლათ ელამებოდა და ,,სულელო, სულელოო'' მიაძახა. კიდევ კარგი, რომ სარკის ვაჟმა მარტო მიფურთხებაში მიბაძა მას და აღარაფერი დაუძახნია, თორემ ვინ იცის, ამას რა აურ-ზაური მოჰყვებოდა.

— მე, ქართველი კაცი, უნდა დავისაჯო ვიღაც აფრიკელი ტომისათვის? რატომ? რისთვის? არა, ბ-ნნო მრსამართლენო, არა! ერთი წლის ციხე! თორმეტი თვის ციხე! სამას სამოცდა ხუთი დღის ციხე! ვინ იცის, იქნებ მომავალი წელიწადი ნაკიანიც არის!

ჟორჟი ღრმათ ჩააფიქრა ამ საკითხმა. ტყეობაში ერთი დღეც მთელი საუკუნეა!

— უთუოდ, უთუოდ უნდა ვიღონო, უთუოდ უნდა მოვიგონო რაიმე თავის დასახწევი გზა, რაიმე საშვალება!

ის კვალად შეჩერდა სარკის წინ! როგორც ლოთი თავადიშვილის ცხენი ვერ ჩაივლის დუქნის წინ თუ არ შეჩერდა, აგრეთვე ჟორჟ ფრაზავა გულ დამშვიდებით ვერ ჩაუვლიდა სარკეს. ეხლა ის შესდგა და მედიდურათ გადახედა სარკის ბინადარს.

— აბა, მოიგონე რამე? აბ? ფუჰ შენს აზროვნობას. სწორეთ გასაჭირისთვისა ხარ გაჩენილი აი! რა ღმერთმა მოგისპო შე საცოდავო ფიქრის უნარი?

სარკეში მდგომი ჭაღარა ნარევი კაცი გულდამშვიდებით ისმენდა ყოველივე ამას და ერთ სიტყვასაც არ უბრუნებდა.

— შეჯექი ჯორზე, ხომ? სირცხვილი შენი, თორემ მე უშენოთაც მოვნახავ რაიმე ხრიკს... ჰაა!!!

ჟორჟმა უცებ იტაცა შუბლზე ხელი და სარკეს მოშორდა.

— ევრიკა! ევრიკა! დღესვე მოვახდენ რეპეტიციას, აი ამ წამშივე.

ის მიბრუნდა სარკესთან, მიიდგა სტოლი სკამი და დაჯდა.

— აი იქ, სარკეში იქნება მსაჯული და აქ მე. აბა დავიწყოთ!

ჟორჟი წამოდგა მღელვარე სიტყვის წარმოსათქმელათ, მაგრამ დახეთ უბედობას: მსაჯულმაც მას მიბაძა და ზეზე წამოიმართა.

— თქვენ ბრძანდებოდეთ, ნუ სწუხდებით!

მიუბოდიშა ვექილმა, რომელიც ხუთმეტი წელიწადია მათი უფროსობის ქვეშე მსახურობს, მაგრამ ვერას გზით ვერ მოახერხა თითონ ფეხზე მდგარიყო და მოსამართლე კი დამჯდარი ყოფილიყო.

— თუ კი ასე გნებავთ, იდექით. მაშ ვიწყებ: ბატონო მოსამართლენო! თქვენ მოისმინეთ ბრალმდებლის სიტყვები, თითქო ჩემის წერილით (აბა

განა წერილი დაერქმის ამას!) განზრახვა მქონოდეს ქართველ ახალგაზრდათა აჯანყებისა. ეს არ არის სიმართლე! ჩემი განზრახვა იყო სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ გალაშქრება. იმათ არაფერი არა სწამთ ნაციისა და განა მარტო ნაციისა?!! იმათ არც მთავრობა სწამთ, არც არაფერი. განა არ მიცნობთ ბატონებო მე, ჟორჟ ფრაზავას, რომელიც თქვენის მფარველობის ქვეშ ვმოღვაწეობ აგერ ხუთმეტი წელიწადია? უნდა მიცნობდეთ, უთუოდ უნდა მიცნობდეთ. განა შემიძლია მე მთავრობის წინააღმდეგ სიტყვა დავსძრა? არა და არა! მე მხოლოდ მიზანში ამოვიღე მთავრობის დაუძინებელი მტერი, სოციალ დემოკრატია და ნუ თუ იმათი დამარცხებისათვის მე სასჯელი უნდა დაკიმსახურო? იმედი მაქვს თქვენ მაგას არ ინებებთ. .

ჟორჟი საშინლათ გაიტაცა მჭევრ-მეტყველებამ. მან მიწაში ჩადვა ქართველი სოციალ-დემოკრატია, ქვა ქვაზე აღარ დასტოვა მავნე პარტიისაგან. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა შიშით გაჩკრთალ სახეზე, კუნთებიც საგრძნობლათ უკრთოდენ და უკანკალებდენ.

ჟორჟი უეცრივ შეკრთა, თითქო შერცხვა თავისი მოქმედებისაო. ზიზღით გადახედა სარკეში მდგომ „მოსამართლეს“ იცნო თავისი თავი და ჩუმის ხმით ჩაულაპარაკა: სირცხვილი, სირცხვილი შენ, ქალაჩუნავ! თავსაც შეირცხვენ და ხოფათსაც ვეღარ აიცდენ. აბა რა შვაში არიან სოციალ-დემოკრატები შე მხდალო შენა?

მუშტ მოღერებით მოიწია სარკისაკენ, მაგრამ დროზედვე შეჩერდა და საქმე ფიზიკურ ძალდატანებამდე აღარ მისულა. ის დაუბრუნდა თავისს რეპეტიციას, ცალი ხელით სკამს ჩამოეყრდნო მარჯვენა ფეხი მოღუნა, ფრიად მოხდენილი პოზა მიიღო და განაგრძო:

— პატივცემულნო მოსამართლენო! ქართველი ახალგაზრდობა თქვენ ნუ თუ ისეთი სულელი გგონიათ, რომ ჩემს სიტყვებს დაუჯეროს? შემცდარი აზრია! თუ კი ამას ექნება მნიშვნელობა საქმისათვის, მე დავამტკიცებ, რომ არასოდეს ქართველი ახალგაზრდობის თვალში ჩემს სიტყვებს, ჩემს აზრს ფასი არა ჰქონია. ბატონნო მოსამართლენო! თუ საქმე ამაზე მიდგება მე დაგიმტკიცებთ თქვენ, რომ ჩემი პოეზია, ჩემი მშვენიერი ლექსები, დიდსა და პატარას სასაცილოთ ჰქონდა აგდებული, ქალი და კაცი, ერი და ბერი ყველა ჩემზე ეხუნჯობდა და ნუ თუ დანაშაულად უნდა ჩამეთვალოს სოციალ-დემოკრატების ლანძღვა? ეს წინააღმდეგი იქნებოდა სახელმწიფოს კეთილ დღეობაზე ზრუნვისა, რაიც თქვენს წმინდა მოვალეობას შეადგენს და რასაც თქვენ ეგზომ მიუდგომლათ და პირნათლათ ასრულებთ. მე, ბატონო მოსამართლენო, სულაც არა ვარ ქართველი ერის განსაკუთრებულ არსებობის დამცველი, მე მსურს რომ დავინახავდე ჩემს სამშობლოს თავისუფალს იმ მავნე პირთაგან, რომელნიც ჩემს ხალხთან ერთად აწუხებენ თვით ჩვენს მოწყალე მთავრობასაც. მე მსურს დამხობა სოციალ დემოკრატებისა! ჩემმა დაჩაგრულმა ერმა ის კი დაიმსახურა, რომ მისი ინტერესების დამცველს არ მოეპყრათ ასეთი სისასტიკით და არ გახადოთ მთელი წლით მონატრული იმ მზის სინათლისა, რომელიც ასე ბრწყინვალეთ კაშკაშებს მისი ლაჟვარდ ცის მკერდზე და რომლის ბრწყინვალე სხივები თვალწარმტაცად ეკეკლუცებიან ამწვანებულ მდელო მინდვრებზე ნაზათ გაფურჩქვნილ ფერად ყვავილებს, რომელთაც თავს დასტრიალებს ჰაეროვანი ნაზი პეპელა, რომელიც მოხდენით არხევს მის აფერადებულ მსუბუქ ფრთებს, როგორც ჰაეროპლანი სახელოვანი რუსის ავიატორი უტოჩკინისა, რომლის აფრენის მოწამენი ვიყავით დიდუბის მინდორზე, სადაც არსებობს ძველის ძველი ქართული ეკლესია, რომელშიაც, ხალხური ლექსის თქმულებით, ბრწყინვალე თამარ მეფემ

„ასი სული ხარი დაჰკლა
და ორასი ნიშა ცხვარი
საღაც რომ საყდარი არი“..

ოჰ! ღმერთო ჩემო!..

ჟორჟ ფრაზავამ მძიმეთ ამოიღმინა და გულ შეწუხებული გაიშხლართა სარკის წინ გაშლილ სპარსულ ნოხზე.

ეშმაკი.

დეპეშები.

ოჩემჩირი. მთელი დღე გავიდა კოდორის ნაწილში არც ერთი ცხენი, არცა ხარი, არცა ძროხა არც ცხოვარი და წარმოიდგინეთ არცა თუ თხა არ დაკარგულა. ამ გარემოებამ ძლიერ დააფიქრა „მფრინავ რაზმის“ ზოგიერთი მონაწილენი.

„ღმერთმა ერთი რათ აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს?“.

იქიდანვე. ამბაკოს სამიკიტნოში მოქეიფე ახალგაზრდობამ დაადგინა: იმღერონ მხოლოდ— „ოდელა, დელა, დელაო, ქართველები ვართ ყველაო“. ამით ფიქრობენ უცხოელთა თვალში აღამაღლონ ქართველობის სახელი.

ახალ-ხენაკი. სიმართლეს მოკლებულია ხმები, თითქოს „მეურნის“ სამი ოქტომბრის კრებაზე ფანჯრიდან შეპარული წევრები სტოროჟს გამოეგზავნოს. აბა რა საკადრისია!

აბაშა. (სამეგრელო) ხმა გავრცელდა: იარმარკობის დროს გაცივებული სამკითხველო ცუდ პირობებშია. 16 ოქტომბერს მას მხოლოდ 41 გრადუსი სიცხე ჰქონდა

სუჯუნა საღმრთო სჯულის მასწავლებელი ხარაიძე სამსახურიდან გადადგა. კრიზისი ჯერ არ გათავებულა.

საგურამო. როგორც ამბობენ დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლე ციციშვილს თავისი კანცელარია სოფ. გურამიანთკარში გადმოაქვს. სტაროსელსკის სახლებშიო. აქვე, გურამიანთკარშივე გადმოიტანეს სოფლის სასამართლო, რომელიც ეწინ საზოგადოების შუაგულში იყო. ეს თურმე იმ მოსაზრებით მოუხდენიათ, რომ სოფლელ გლეხკაცობას ფიზიკური ვარჯიშობის საშუალება მისცენ და მართლაც უკეთესს ვინ მოიგონებდა? თუ წინათ სოფლის სასამარლოამდე ოთხი ვერსი გზა ჰქონდათ, დღეს ორი ამდენი გაუხადეს და მაშასადამე ორჯერ მეტს ივარჯიშებენ სიარულში

ბოკოწინი. ადგილობრივმა მოძღვარმა უკვე დაიწყო ქვაბ-ტაფებისა და სხვა ავეჯეულობის მოგროვება კოდი პურის მაგიერ. ან კი რაღათ სჭირია გლეხს ქვაბი და ტაფა თუ მღვდლის გასასტუმრებელი პური აღარა აქვს?

ჯიხაიში. ადგილობრივ მამასახლისს ხალხის მიერ მოცემული 150 ქანქარი დაკეტილი ყუთით დარაჯებისათვის მიებარებია. მაგრამ დახეთ ფულების ოინბაზობას! ყუთიც არ გაუტეხიათ ისე გაიპარნენ ამ პატარა სატუსაღოდან და როცა მამასახლისმა მათ კარები გაულო, ყუთში აღარავინ აღ მოჩნდა.

ჩიბათი. ტყუილია ის ხმები თითქო სოფ. ჩიბათის გზებზე ამდგარ ლაფში ხარები ჩამხრჩვალიყოს. საფრთხე დროზედვე აიცილეს და კეტებით ამოიყვანეს საბრალო პირუტყვები

გურიის „სტრაჟნიკთა“ შორის ახალი სენი „პანღურიზმი“ გაჩნდა. ბევრი იმსხვერპლა.

(ბანელიძის საჯენტო)

ჭიათურა. „Все благополучно“... მხოლოდ პერევისის საზოგადოების მამასახლისმა,—ბ. გარსევან კურტანიძემ სოფლის 310 ქანქარი იმასქნა, რისთვისაც ისიც იმასქნეს, მაგრამ შემდეგ, როგორც პატარა ეშმაკუნები გადმოქვცემენ—თავდებ ქვეშ ისევ გამოიმასქნეს, იმ პირობით, რომ რაც იმასქნა,—ისევ გაიმასქნას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისევ იმასქნიან. ვნახოთ; ბ. მამასახლისი იმას იზამს, თუ არა.

იქიდანვე. გ. ბრეგვაძის და ამხ. შავი ქვის საბრეცხს ქარხანაში ამ ჟამათ თავისუფალია ოთხი ალაგი. მსურველთ შეუძლიანთ მმართონ ბრეგვაძის „ტაბელშჩიკს“—გ. წერეთელს, სათანადო მოწმობებით და აგრეთვე ერთი კალათი ყურძნით, ან ატმით... ადგილი უსათუოთ გაიჩარხება...

აქიდანვე. 10 ოქტომბერს, როგორც იყო სახალხო უნიერსიტეტის გამგეობამ, „სახელითა ხვთისათა“ მოიწვია სახ. უნივ. წევრთა საზოგადო კრება. გამგეობის ვექილებმა, მათ უმოქმედობაში ბრალი დასდეს ხალხს. ამნაირათ, გადაწყდა, რომ „გამგეობის გულ-გრილობა-უმოქმედობა ხალხის ბრალია“...

იქიდანვე. ბ. ს. წერეთელის წინადადებით ახლო მომავალში მოიწვევენ, ერთ,—ერთ ლექტორს, რათა წაკითხულ იქნას „ლექცია შავი ქვის თვისებაზე“ თუ ამ ტემაზე ლექციის წაკითხვის ნება დართო თავრობამ—საქმე გაიჩარხება, ამიერიდან ტანჯულ-წამებულთ კუჭი გაუძღებათ...

იქიდანვე. ჩერნიავეის ქარხანამ, ამ ბოლო ხანებში შავი ქვის რეცხას აკლო სამგიეროთ საგრძნობლათ იმატა მუშათა ჯიბე-პორტმანეების რეცხამ...

იქიდანვე. ბ ანდ. აბაშიძემ ამ დღეებში, ბახუსის წვენით თავი მოიწამლა. საწამლავი იმდენათ ბევრი დაელია თავადს, რომ ერთი უმანკო გიჭიც იმსხვერპლა.

შარადა.

—

შარადა მინდა გიამბოთ
ადვილი მეტის მეტათა
(ძნელს ბევრი ფიქრი სჭირდება
და გვიჭირს გასამეტათა)
სიტყვაც ისეთი ვიპოვე,
მკითხველო, შენდა ბედათა,
რომ თითიც აღარ ასწიო
შენ შუბლზე მისადებათა.
ცხოველი არის პატარა
თაგვისა მისამგზავსები,
მუდამ მიწაში დაძვრება
ის თვალებ გამონავსები..
სწრაფათ ნავარდობს ქვესკნელში
მუდამ იქ მონათავსები
და თუ გამრავლდენ, ბოსტნეულს
ერთობ ახდენენ ნავსები.
სახელსა ესე ცხოველი
სხვა და სხვანაირს ატარებს:
ქართლში ეს ქვია, იმერეთს
სხვას ეძახიან პატარებს.
ჩვენ გურულ კილოს ვემხრობით,
(და ეს ნურავის გაღარევს).
თუმცაღა მარცვალს ბოლონდელს
სჯობს სულაც თუ არ ატარებს.
ჩვენ დაგვირჩება იმისგან
მარტოდენ ორი ანბანი,
შარადას ოთხი სჭირია..
სხვა უნდა ვნახოთ საგანი,
თუ ის არა გვაქვს ვერ ვნახავთ
მიწად მოგვხდება ბრაგვანი,
ან ფეხს წამოვკრავთ რასამე,
ატყდება გულის ქაქანი,
მზე გაგვიქრება უმისოდ,
ლაჟვარდი ცისა ტატანი,

ბნელში ჩაინთქმის, ვიხილოთ
ჩვენ ვერცა ერთი მათგანი.
ამა სახელსა მოვსწყვიტოთ
მარცვალი ბოლოდ მდებარე,
და უკვე ნახულს მივადგათ,
(არა სჭირს გადამდებარე)
უკვე გათავდა შარადა ..
„ვაშა“ დავსძახოთ მგზნებარე
მე მაინც ვაქებ, სხვა თუ არ
გამოუჩნდება მქებარე.
შეხედეთ ამა სიტყვასა
რა დადგა ოხერ-ტიალი?!
დედამიწისა ზურგზედან
ყველგან გაუდის ტრიალი.
მტრათ გიქცევს გულის მეგობარს,
იმისი მეტი ტრფიალი,
თუ ის არა გაქვს, მოგიხდეს
მუცელ მსუბუქათ ყიალი
მისი მონაა ყოველი
კაცი ამ ქვეყნათ შობილი,
(თუმცა ღა კაცის ხელიდან
არს თითონ გამოწრთობილი)
გული მაგრა გაქვს საგულეს
თუ ის ბლომათ გაქვს წყობილი,
მაგრამ ვაი შენ, თუ მისგან
განრისხული ხარ, გწობილი.
(ბევრი მინახავს ვაჟკაცი
მე მისთვის ჩამოხრჩობილი!)
რამდენიც გქონდეს, არ ჭარბობს,
იგი არ დაგიმეავდება
(დიადი გრძნობაც ხშირ-ხშირად
იმაზე დახურდავდება),
იმდენს იშოვი მეგობარს
რიცხვი არ აგითავდება,
მაგრამ სულ ყველას დაჭარგავ
როცა ის გაგითავდება.
ის ამუშავებს ამ ქვეყნად,
აზრსა, გრძნობასა, გონებას,
აჩენს მბრძანებელს ქვეყნისას,
აჩენს მეფობას და მონებას
ერთს პირს ირიდებს, გასტანჯავს,
მეორეს მიგვრის ცხონებას,
ერთს შეულახავს, მეორეს
შეუმკობს თავმომწონებას.

კოლ.

რედაქტორი ჩასვეს.

—

რედაქტორთან მივიდენ და უთხრენ:

— მობრძანდით საპატიმროში! რედაქტორი მაშინვე დასთანხმდა ჩაიცვა პალტო და კალოშები, დაიხურა ქუდი და გაჰყვა.

ქუჩაზე რედაქტორს კარეტა უცდიდა. იგი ჩაჯდა შიგ ჩუმათ; ქუდი წარბებზე ჰქონდა ჩამოხურული.

და როცა კარეტა დაიძრა, მხოლოთ მაშინ იკითხა:

— მართლა, ბატონებო! რა მიზეზისთვის უნდა ჩამსვათ საპატიმროში?

— რომელი ერთი დაგისახელოთ: ათასი მიზეზია.

— ოჰო!

— პირველი ისა, რომ თქვენ ხართ რედაქტორი...

— კმარა. — გააწყვეტინა უკანასკნელმა მიხვდა, რომ ეს უმთავრესი მიზეზი იყო, დანარჩენი კი მხოლოთ ამის დასაბუთი იქნებოდა.

რედაქტორი ჩასვეს.

— ეს რა ამბავია! გაკვირვებით ამბობდენ მეგობრები. რედაქტორები ხომ ლეგალური პარტიაა. განა შეიძლება ლეგალური პარტიის წევრობისათვის კაცის დაპატიმრება?

მეგობრებმა გადასწყვიტეს რედაქტორის განთავისუფლება.

მივიდნენ ერთ ბობოლა მოხელესთან.

— რათ ჩასვეს? ჰკითხა მათ მოხელემ.

— საქმეც ისაა, რომ თითქმის უმიზეზოთ ჩასვეს, თქვენო აღმატებულებავ!

— როგორ შეიძლება, რომ უმიზეზოთ ჩაესვათ? გაიკვირვა მოხელემ. — ვისი ბრძანებით ჩასვეს?

დაუსახელეს ვინაობა ვინც ჩასვა.

— მაშ მაგან ჩასვა? მხიარულათ გაიღიმა მოხელე — ეგ უმიზეზოთაც კი ჩასვამდა, კარგი ერთგული მოსამსახურეა!

იმედის შუქი შეიპრა რედაქტორის მეგობართა გულში.

— მაშასადამე, თქვენო მაღალ-აღმატებულებავ, თქვენ იმას გაანთავისუფლებთ, არა?

— რას ამბობთ! ეგ ყოვლად შეუძლებელია!.. მოხელე ცოტა ხნით შეჩერდა და შემდეგ განაგრძო:

— იცით რა? ეგ არ არის მოხერხებული: ერთი ჩასვამს, მეორე გაუშვებს. ეგ იმასა ჰგავს, უნემსოთ რო ჰკეროთ. იჯდეს, რა დიდი საქმეა სამი თვე? სამ თვეს შემდეგ კი გამოვიდეს არხეინათ, თუ არ მოეწონება...

მეგობრებმა მეორე დიდ მოხელეს მიმართეს.

ამან უფრო თავდაჭერილათ მაგრამ ზრდილობიანათ მიიღო ისინი.

— თქვენა სთქვით, რომ კაცი ტყუილა უბრალოთ ჩასვეს?

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, სულ ტყუილა უბრალოთ: ის ყოვლათ პატიოსანი რეაქტორი იყო ..

მოხელემ სიტყვა გააწყვეტინა.

— მოითმინეთ .. თქვენ უწინ სთქვით, კაცი ჩასვესო, ახლა კი ლაპარაკობთ, რედაქტორიო. ამიხსენით რიგიანათ, თუ ღმერთი გწამდესთ, ვინ ჩასვეს: კაცი, თუ რედაქტორი?

— ბგბაანა... რედაქტორი კაცი არ არის?

— რა თქმა უნდა, რომ არა! კაცი თუ იყოს შინ იჯდება და არა საპატიმროში...

აქ მოხელეს უცებ გაახსენდა, რომ ამას წინათ მან ინტერვიუერებთან ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების მომხრეთ აღიარა თავი და უფრო რბილათ იკითხა:

მერე რით შემიძლია დავეხმარო მე თქვენს რედაქტორს?

— უბრძანეთ, გაანთავისუფლონ.

— სწორეთ ეგ ჩემთვის შეუძლებელია! აი რა მოგახსენოთ: მე მყავს საპატიმროში ერთი კაი ნაცნობი ..

— ისიც რედაქტორია?

მოხელე გაჯავრდა.

— გთხოვთ, შეურაცხყოფას ნუ მაყენებთ! ჩემი ნაცნობი პატიოსანი კაცია. ის სალდათის ჩექმის გულისათვის ზის და არა რედაქტორობისათვის, მაგრამ მაინც ვერაფერი ვუშველე. ახლა პურიშკევიჩს უნდა მივმართო რომ შეკითხვა შემოიტანოს ჩემთან იმის შესახებ, თუ რა მიზეზია, რომ ასეთი შვენიერი პატრიოტი საპატიმროში დაუმწყვდევიათ. აი მაშინ, ამ შეკითხვის ძალით მე იმედი მაქვს გავანთავისუფლო ჩემი ნაცნობი. თქვენ ვერავის მიაგზავნით პურიშკევიჩთან თქვენ საქმეზე?

რედაქტორის მეგობრები ცუდ გუნებაზე გამოვიდენ მოხელეს სახლიდან მაგრამ მაინც არ დაჰყარეს იარარაღი.

მესამე მოხელემ არ მიიღო ისინი. მეოთხემ...

მხოლოთ მეექვსე შეჰპირდა დახმარებას და საჭირო ცნობების შეკრებას.

როცა ცნობები მზათ იყო, მან დაუძახა რედაქტორის მეგობრებს და უთხრა:

— მე სრულიად დავრწმუნდი, რომ თქვენი მეგობარი უდანაშაულოთ ისჯება. გაძლევთ სიტყვას, რომ დაგეხმარებით.

— გმადლობთ! — მაგრამ დახმარება საჭირო აღარ არის. აგერ ორი თვე შესრულდა, რაც ჩვენმა მეგობარმა შეასრულა ვადა და ახლა თავისუფალია.

— ამრთლა?

— დიახ, თავისუფალი გახლავთ. ამ ორი თვის განმავლობაში სამჯერ ჯარიმაც გადაიხადა.

მოხელეს სახე გაუბრწყინდა.

— აი, ხედავთ! — წამოიძახა მან აღტაცებით. — გაუნთავისუფლებიათ. **რედაქტორი** გაუნთავისუფლებიათ! თქვენ კი ამბობთ, ჩვენში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება არაა!..

ო. ლ. დორ.

ВЫ-ТО ПРИЧЕМЪ?!

ლექცია მზათ მქონდა, რაც ასე ძნელი არ არის ეხლანდელ დროში. ძნელი მისი სათაურის მოგონებაა. ლექტორის გასაჭირი სწორეთ აქ არის, რომ კეთილ-საიმედო პირადაც დარჩეს და საგენერალ გუბერნატოროს ჰაერის ყნოსვაც არ მოაკლდეს. ერთის სიტყვით, ვიყავ ერთ გასაჭირში: არ ვიცოდი რა დამერქმია, რა სათაური მომეძებნა ჩემი პირმშოსათვის, რომ მოქალაქეობრივი უფლებანი მომეპოვებინა მისთვის.

„მთავრობა და რეფორმები!“ მომივიდა უეცრად თავში — სწორეთ რომ დროს შესაფერია: შემოდგომაა, დუმა სადაცაა შეიკრიბება, მთავრობა რეფორმების გუნებაზე დადგება და აბა ამისთანა თემაზე წაკითხულ ლექციას განა სიხარულით არ მიეგებება მისი ადგილობრივი განყოფილების გამგე-მეთქი, გავიფიქრე მე და სიხარულით ტაშიც კი შემოვკარ. მოსალოდნელ სიამოვნების გამო შევკუნტრუშდი კიდევაც. ერთი სიტყვით, ჩემს სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა, რაკი ლექციას ნათლობის სახელი ვუპოვე. საჩქაროთ შევიმოსე და გავწიე ლოცვა-კურთხევის მისაღებათ ვისთანაც „ჯერ არს.“

პირველ დღეს სახლში არ დამხვდა: სანადიროთ წასულიყო (დახე გაბედულობას!). მეორე დღეს — უქეიფოთ იყო და არ მიმიღო. მესამე დღეს — ჩემი მისვლა ვვიანი აღმოჩნდა (აქ კი მე ვიყავ დამნაშავე). მეოთხე — უქმე დღე იყო. მეხუთე დღეს — ვიღაც წარჩინებულ გვამის დასახვედრათ წასულიყო, მეექვსე დღეს კი — მეღორსა. მითხრეს — ეხლავეო და სწორეთ საათ ნახევარი ცდის შემდეგ გადავბიჯე კარი-ბჭე. კიდევ კარგია, რომ თვით მთავრობამ დროზე იზრუნა და მოთმინებას შეგვაჩვია!

„ჯერ — არსი“ სავარძელში განისვენებდა და ლოყებს „იმასაჟებდა“. ეტყობოდა ახლად მოეთიბნა ღაწვები

მე განცხადება და ლექციის კონსპექტი მივაწოდე. გადაშალა, დაუწყო კითხვა.

— არ შეიძლება ამის წაკითხვა, ნებას არ გაძლევთ

— მიზეზი, თუ შეიძლება?

— მიზეზი! არ შეიძლება, თქვენ აქ ისეთი სიტყვები გაქვთ ნახმარი, რომლებმაც შეიძლება მსმენელებში აზრთა არევ-დარევა გამოიწვიოს, მაგალ.: დინამიკა... „სტატიკა... საზოგადოებრივი აზრი კანონიერი ცხოვრება... ხალხი, დუმა, ხალხის წარმომადგენლობა და სხვა... ირონიით ჩაიცინა: ამათვალიერ-ჩამათვალიერა და თავის ქნევით „აგრძელ: საკანონმდებლო ორგანო, თვით-მართველობანი, პოლიტიკა .. ეკონომია... კლასები... არა, არა, მე, როგორც მთავრობის წარმომადგენელი და ადგილობრივ საზოგადოების პატრონი, ნებას ვერ მოგცემთ მშვიდი მსმენელები აუჩაბ აიგდოთ, მოსვე

ნება და მყუდროება დაურღვიოთ. ეს პირდაპირ ჩემი, უზენასად მონიჭებულ მოვალეობის დარღვევა იქნებოდა. აი სულ სხვა რამ იქნებოდა, მაგალითად, რომ თქვენ ლექციას იმისთანა განათლებულ პირთაგან შემდგარ წრეში წაიკითხავდეთ, როგორც მაგალითად მე და ჩემი ხელქვეითები ვართ. მაშინ არავითარ აზრთა არევ-დარევას ადგილი არ ექნებოდა. რა სიტყვებიც უნდა გეხმარათ ყველანი ისე გაიგებდენ, როგორც მე. დიახ, ბატონო, ჩემთან შეგეძლოთ თავისუფლათ გეთქვათ ისეთი სიტყვაც კი, როგორიც არის რევოლიუცია. ეს სიტყვა ჩვენს წრეში არამც თუ არაფერ არევ-დარევას არ გამოიწვევდა (ის დრო წავიდა!), არამედ ძალიან გაგვამხიარულებდა კიდევაც... უნდა მოგახსენოთ გამოტეხით, რომ ეს სიტყვა ჩემში ესეთ სასიამოვნო სიცილს იწვევს, რომ მუცელის შემეშინდება ხოლმე. ამიტომ მე მას მხოლოდ მაძღარი, სადილის შემდეგ ვიგონებ ხოლმე სანოვაგის მონელების გასაადვილებლათ. დიახ, დიახ! ამიტომ, ძალიანაც დაგიმადლებთ, თუ კი შესძლებთ ჩვენს გამხიარულებას დიახ, დიახ, დიახ!.. ნურც აზრთა არევ-დარევისა გეშინიათ. საუცხოვო აუდიტორია გეყოლებათ... გარდა ამისა, რას ნიშნავს ,,რეფორმა''?.. უბრალო მსმენელისათვის ესეც არაფერს ნიშნავს. თვით მთავრობამ აგერ 50 წელიწადია, რაც ერთი რეფორმა ძლივს მოახერხა, მის შემდეგ მოდის, ეძებს და ვერ უპოვნია ეს რაღაცა რეფორმაა; თქვენ კი გამოდიხართ და გინდათ უბრალო მსმენელს რეფორმებზე ელაპარაკოთ ..

— დიახ, დიახ, სწორედ რომ საგანგებო დროა, თქვენო აღმატებულებავ, მაგ საგანზე ლაპარაკისა, რაკი თვით მთავრობაც აპირებს რეფორმებს. მინდოდა ჩემის ლექციით მთავრობისაგან განზრახული რეფორმები ხალხისათვის გამეცნო, უკეთ ვსთქვათ მთავრობისათვის ერთგვარი დახმარება გამეწია...

— რაო, დახმარებაო! მერე თქვენ რა? თქვენ ვინა ხართ? თქვენ რა შუაში ხართ, არ მესმის!.. დიახ, რეფორმებს ვაპირებთ, მაგრამ— скажите, пожалуйста, Вы, Вы-то причемъ, Вы, Вы-то причемъ?—ყვიროდა ,,ჯერ-არსი'' და ცხვირ წინ ამეტუზა და დაჭლეტილი თვალებით ჩამაშტერდა.— Нѣтъ, Вы-то причемъ? скажите!.. მომაჩეჩა ძალათი ჩემი ქაღალდები და გავიდა მეორე ოთახში.

გამოველ გარეთ და ყოველ მხრიდან მხოლოდ ესა მესმოდა: Вы-то причемъ! Вы-то причемъ!..

ხუცი.

მესტვირული.

(ძველი სენაკი).

ჩემო ძია, ეშმაკო!
გიგონებ გვან-გვიანო,
სულ დავიწყებას გვიან ჯობს,
მსურს ახლა მოგახმიანო.

მინდა ჩავბერო გუდასა,
ხმა მივსცე ლაზათიანო
ვინ რაგვარ იღწვის, რას შრომობს
რაგვარ სასაქმოს ჰქმნიანო.
ძველ სენაკს სამი გმირი ყავს,
სიტყვას ყულუმბათ თქმიანო:
მიხაილ, ნესტორ, ფილიპე
იმათ სახელად ჰქვიანო.
სამივე მოიკითხევი,
ეშმაკო შავ-შავ ფრთიანო,
ეგ არის ხალხსა ბეჩავზე
ლაშქრობას განიცდიანო.
არც თუ კმარობენ ლაშქრობას,
ხრიკებსაც მრავალს ქმნიანო,
თუ ხრიკი აღარ გაუდისთ,
მუქარას შეუთვლიანო.
მიხეილ ,,აბლაკატია'',
ნესტორს მის რაზმათ თვლიანო,
ფილიპე მუდამ მთვრალია,
(ბახუსნი მონათვლიანო!)
საწყალ ხალხს რიყე ჭალაში
ძალითა ,,იმასქნიანო''
ბახუსით გატაცებულნი
ხალხსა სცემენ და სჭრიანო.
,,ტარშინაც'' იმათ , იმასუქს,''
რადგანაც გაუდიანო,
მეგობრობისთვის: რაინდნი
წილს მასაც მიუძღვნიანო.
დაგლახდა ხალხი, რამეთუ
სხვა გზა მათ არ იციანო,
(სხვაგან სავალი ბილიკნი
მათ სწრაფათ შეუკვრიანო!)
ახლა შენ იცი ეშმაკო
კარგი სახელი გქვიანო,
ისეთი ჯილდო მოართვი,
როგორიც ეკუთვნიანო.
ფილიპეს მეტი სჭირდება,
მეტ წილათ დააზიანო,
მიხა და ნესტორ ამ რიგათ
არ ძალმიძს გააჭკვიანო.
თუ სიტყვამ გასჭრას, უთხარი:
,,ამ საქმეს ნუღარ ქმნიანო,
თორემ დრო მოვა, ხალხის წინ
ქედს მდაბლათ მოიხრიანო
და რაც დასთესეს, ათ წილათ
ზედმეტსაც მოიმკიანო''.

ახლა მშვიდობით, ეშმაკო,
სხვა მხრისკენ მეჩქარიანო,
იქაც იქნები საჭირო
და არც თუ ისე გვიანო

ხახურისპირელი.

კორექტორი

(რუსულიდან)

(იხ. „მათრ. სალამური" № 33)

— თავის თავათ ცხადია .. კრამიტის ქარხნის მუშებმა თავიანთი რეზოლიუცია ჩვენ გამოგვიგზავნეს გაზეთში დასასტამბავათ, შემდეგ-კი ეს რეზოლიუცია ჩვენი პარტიის ადგილობრივმა კომიტეტმა განიხილა. ყველამ ერთხმათ მიიღო კრამიტის ქარხნის ამხანაგების რეზოლიუცია და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წინადადება მისცეს მეცადინეობა შეეწყვიტა.

— რა ქნეს, დათანხმდენ.

— ნუ ჩქარობ. მომისმინე. კომიტეტმა მე და ერთ ამხანაგ—მეკრამიტეს მოგვანდო რექტორთან წავსულიყავით და პარტიის გადაწყვეტილება გადაგვეცა. წავედით რექტორმა-მაშინვე მიგვიღო, მოგვისმინა და კუდის ქნევა დაიწყო. „წარმოიდგინეთ, ეს მარტო ჩემი საქმე როდია, საბჭომ უნდა გადასწყვიტოსო და სხვ ჩვენ ვსთხოვეთ საბჭოს საგანგებო კრება მოეწვია და როდესაც ყველა პროფესორები შეიკრიბენ, მოვითხოვეთ სტუდენტების წარმომადგენლების დაეშვათ კრებაზე. სურვილი აგვისრულეს. ჩვენც ოფიციალურათ წავიკითხეთ ჩვენი დადგენილება.

— მერე?

— მათაც დაადგინეს სწავლის შეწყვეტა.

— ყოჩაღ! ძალიან გაუმარჯვიათ!

— აბა შენ როგორ გეგონა? სწორეთ ძალიანი დრო იყო პროფესორებს, ქალაქის თვითმართველობას—ჩვენ ვაძლევდით სამოქმედო გეგმას. მახსოვს, ქალაქის მეფარნეებმა მოითხოვეს, რომ თვითმართველობის დაბალი მოსამსახურეების წარმომადგენლებიც მიეწვიათ ქალაქის საბჭოს სხდომებზე ლასასწრებათ, გადამწყვეტი ხმის უფლებით. კომიტეტიდან მე წავედი საბჭოს სხდომაზე დასასწრებათ. ქალაქის თავი დაიბნა, აღარ იცოდა სად დაეჯინე, ცოტა დაკლდა თავისი სავარძელის დათმობას აპირებდა . პირველი სიტყვის უფლება მე მომცა...

— ბრავო!— წამოიძახა რიბაჩენკომ.

— ახლა-კი, ნაღელიანათ განაგრძო ნიკოლოზმა,—მივდივარ ბანცალით რედაქციაში. თანამშრომელთა რიცხვში ერთი მასწავლებელიცაა, გვარი აღარ მახსდეს... ერთხელ თუთუნის მოწევა მომინდა. მასწავლებლის ჯიბეში ვერცხლის სათუთუნეს მოვკარი თვალი. მივედი, ერთი პაპიროსი ამოვიღე და სათუთუნე ისევ ჯიბეში ჩაუდე. თუ კაცი ხარ, შენ თვითონ სთქვი, რა არის აქ გასაკვირი?

— რასაკვირველია, არაფერი ურთერთ შორის ცერემონიას რა ადგილი აქვს! .

— ის-კი სულ სხვანაირათ მოიქცა. წარბები შეიკრა, თვალები გადმომიტრიალა და მკითხა: „რომელ საჯინიბოში გაიზარდეთ, ყმაწვილო?".

— დახე იმ თავხედს?

— მე ვუპასუხე: „თუ პაპიროსი გენანებათ, პირდაპირ სთქვით, რა გაღრიალებს მეთქი" გამოვიღე პირიდან ცეცხლის მოსაკიდებლათ გამზადებული პაპიროსი და ცხვირის წინ მაგიდაზე დავუგდე .. ისეთი ბრაზი მომივიდა, რომ კბილებით დასაგლეჯათ აღარ დავინდობდი, სხვების ხათრი რომ არ მომედო. მერე, ანარქისტ-კომუნისტათ მაინც არ მოქონდეს იმ უმსგავსოს...

— ალბათ მოდისთვის ჩადის მაგას, სთქვა რიბაჩენკომ

ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ძალიან ცუდ დროს მოვესწარი,—განაგრძო ისევ ნიკოლოზმა.— რა გავლენით ვსარგებლობდი თავისუფლების დღეებში, მთელი გუბერნიები მეგარა! ახლა რაღაც 25 მანეთი მერგება კორექტორობაში და იმასაც არ იძლევიან. . გაზეთ „რევოლიუციის ზარაზე" მომუშავე დანარჩენი ამხანაგებიც კორექტორებათ არიან, რომელნიც ციხეში არ მოხვდენ .

— რატომ გაზეთებში არ თანამშრდმლობ ძველებურათ?

— ჩვენ არ შეგვიძლია ბურჟუაზიულ გაზეთებში თანამშრომლობა და ხალხის შეცდომაში შეყვანა. კორექტორობა-კი სხვა საქმეა. კორექტორი გაზეთის მიმართულებაზე პასუხის მგებელი არ არის. პასუხის გება თანამშრომლებს აქვთ დაკისრებული. მე პეტერბურგის დიდი გაზეთების რედაქტორებმა მთხოვეს თანამშრომლობა, მაგრამ არა მსურს, თუმცა, შეიძლება, მომავალში ეს გადაწყვეტილება შევსცვალო..

ამ დროს კარებში გამოჩნდება სააგენტოს დეპეშების დამტარებელი ბიჭი, თავიდან ფეხებამდე გაწუნწული. ხელში გძელი ჯოხი უჭირავს.

— დეპეშები!—წამოიძახა მან და შეკეცილი ფურცლები ამოიღო უბიდან.

— მოიტა,—უთხრა ნიკოლოზმა, გამოართვა, გადაშალა და დაიწყო კითხვა.

ოდესა შავჭირიანთა ბარაკში იყო 5, გამოეწერა 1, დარჩა .. ტოლმაჩევი...

პეტერბურგი. დეპუტატი პურიშკევიჩი რომელიც სესიის გახსნისათვის მურომცევის სალანძღავ სიტყვას ამზადებდა .. ჭკუაზე შეიშალა და სულით ავათმყოფია თავშესაფარში წაიყვანეს მაგრამ გზიდან პოლიციელებს ხელიდან დაეხსლტა და გაიქცა ერთი უცნობი რომელიც ნევის პროსპექტზე მიმავალ ლეგბროვინს...

— ღმერთო ჩემო, როგორ ურჯულოსავით გვაწვალებს ეს სააგენტო. აქ არც მძიმე და არც სხვა სასვენი ნიშნები. ამას ეშმაკიც ვერ გაიგებს,—

ამბობს ნიკოლოზი, შემდეგ იღებს კარანდაშს და ასწორებს:

პეტერ

პურიშკევიჩი, რომელიც მურომცევის სალანძღავ სიტყვას ამზადებდა ჭკუაზე შეიშალა და საგიჟეთში გაგზავნეს.

იალტა. საქონლის ჭირით მაზრაში ავათ გახდა... ღენერალი დუმბაძე ლისაბონში მიიწვიეს მაგრამ არ დასთანხმდა ,,ფარმნის'' აეროპლანით იფრინა და მშვიდობით ძირს დაეშვა...

— ეს რაღა ჯანდაბაა! ეს ოჯახ ქორი საქონლის ჭირით თუ გახდა ავათ აეროპლანით როგორღა ფრინავს? ავიატორი თუ არის, ლისაბონში რა შავ ქვათ უნდათ, მანუელი ხომ ავიატორი არ ყოფილა, რომ მისი მაგიერობა გასწიოს?! არა სევ ასე იქნება: **იალტა**, საქონლის ჭირით ავათ გახდა დუმბაძე. ის არასოდეს აეროპლანით არ ფრინავდა და არც არავის ლისაბონში მიუწვევია

ნიკოლოზმა კარანდაში ჯიბეში ჩაიდო. გასწორებული დეპეშები მეტრანპაჟს გადასცა, ქუდი თავზე ჩამოიფხატა და თავჩაღუნული გარეთ გავარდა. გაწუწული და დაქანცული ნიკოლოზი მისვლისთანავე ლოგინში ჩაწვა ის ის იყო თვალების დახუჭვას აპირებდა, რომ გასწორებული დეპეშის შინაარსი გაახსენდა. ნიკოლოზი ფიქრებმა გაიტაცა: ,,ვაი თუ დუმბაძე, მართლაც ლასობანში მიიწვიეს და მე კი ის საქონლის ჭირით გავხადე ავათ! მთელი ღამე მოუსვენრათ ბრუნავდა ლოგინში, მაგრამ მაინც ვერ გაიგო დეპეშის ნამდვილი აზრი.

მეორე დღეს სტამბაში შესვლისთანავე კორექტორს აცნობეს, რომ გენერალ-გუბერნატორზე ცრუ ცნობების გავრცელებისათვის გაზეთი დახურესო

ნიკოლოზი დიდხანს იდგა უსიტყვოთ გაშტერებული შემდეგ იქვე მაგიდაზე დაყრილ სააგენტოს დეპეშების ფურცლებს სიბრაზით დააფურთხა თავისთვის რაღაც წაილაპარაკა და ქუჩაზე გამოვიდა.

თუმცა გაზეთი დახურეს, მაგრამ დეპეშის ნამდვილი აზრი ნიკოლოზისთვის მაინც გაუგებარი დარჩა.

ფოსტა.

ჟიათურა. ხ—ნს თქვენი „სცენები“ სასცენოთ არ ვარგა და საგაზეთოდ მით უმეტეს. არ დაიბეჭდება.

სამტრედია. **კულაშელს.** ,,თივაში ცეცხლი არ დაიმალება'' და კულაშში ნიჭი! თქვენი „სიზმარი'' საუცხოვო იქნებოდა მართლა სიზმარი რომ ყოფილიყო, მაგრამ ვაი რომ ცხადია!

ამ დილაზე გამეღვიძა
შეწუხებულს ნაღვლიანსა,
დამნახველნიც შეძრუწუნდა,
რა მხედავდენ დარდიანსა“.

თქვენ ნაღვლიანმა გამოიღვიძეთ და იმათ კი დარდიანი დაგინახეს.

«ენა პირში ჩამივარდა
არ იძროდა ის ოხერი,
გაშეშებული ვიდექი
აღარ მედო კაცის ფერი“.

კიდევ კარგი რომ საწერელი არ ჩაგივარდათ პირში, თორემ ასე ადვილათ ვერ გადარჩებოდით. არ დაიბეჭდება.

ბათუმი. **ახალ ბლიკვაძეს.** „რაკი ბ. ბლიკვაძე აღარა სწერს, მე დავირქმევ იმის ფსევდონიმსაო“ იწერებით. ეს ჩინებული საშუალება იქნებოდა, რომ გიშველიდესთ რასმე. მაგრამ როგორც თქვენს „მესტვირულს“ ეტყობა ვერც ამ სახელს მოუხდენია სასწაული. სჯობს ისევ „შოთა რუსთაველი'' დაირქვათ, იქნებ ,,ვეფხის ტყაოსანი“ დასწეროთ.

ქუთაისი. **კარიკატურისტს** ჩვენ ვერ მიგიხვდით რას ნიშნავს ასეთი სურათი: „ბულვარის კარებშიუნდა იდგეს რეგვენი ვირი, რომელზედაც უკუღმა იჯდეს ბ-ნი ნ—ვი. რეგვენ ვირს სახე უნდა უცინოდეს და ფოთისკენ იყურებოდეს.“

როგორ გეტყობათ სირეგვნე!

ქუთაისი. **პომპოლიკს.** ,,ვეცდებით ყოველ კვირაში მოგაწოდოთ თითო ასეთი ლექსიო'' იწერებით თქვენ.

ჩვენ კი ვერ მივმხდარვართ: რა დანაშაული მიგვიძღვის ასეთი თქვენს წინაშე!..

ხაშური. ნიკოს. ,,ბ-ნო რედაქტორო, გთხოვთ მაცნობოთ პროზითა აჯობებს განვაგრძო წერა თუ პოეზიით''.

ბ-ნო ნიკო! სწერეთ ისე, როგორც თქვენთვის არის საადვილო, რადგან დასახევათ სულ ერთია პროზა იქნება თუ პოეზია.

იყიდება „ შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე პროვინციებიაც გაგზავნებათ მსურველთ შემდეგი კომოტუმნი:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1907 წ. 13 ნომერი ერთათ შეკერილი . . 1 მან.
2) „ „ 1908 წ. 35 № . . 2 ,,
3) „ალმანახები“ 1909 წ. 10 № . . —50 კ.
4) „მათრახ სალამ.“ ტ ალმანახები 1909 წლისა . . . . . 33 ნომერი 2 მან.
5) ფაუსტი. გიოტესი, თარგმანი პ. მირიანიშვილისა . . . . . 1 მ. 25 კ.
6) კოოპერაცია. კანდელაკისა . . . — 35 კ.
7) ქრისტინე. დრამა 4 მოქ ნინოშვილისა, გადმოკეთებული ირეთლისა . . . . 20 კ.

მსურველს შეუძლია ფულის მაგივრათ ლირებული ფოსტის მარკებიც გამოგზავნოს.

ადრესი: Тифлисъ Типографія Шрома Василію Болквадзе.

ელექტრომბეჭდავი ''შრომა'' გ. ბოლქვაძისა. რედაქტორ-გამომცემელი: ნ. ს. სულხანიშვილი

სჯობს სიცოცხლესა ხაძრახსა, გაქცევა სახელოვანი.

,,რევოლიუციი'' ,,ზაკავკაზიჲ'' რედაქციაში. (განვლილი მოძრაობიდან).

სამეცნიერო მიზანი.

„ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ!“

სამოხწ. ოლქ. მზრუნველი სასიამოვნოა როცა ხედავ, თუ როგორის ჩქარი ნაბიჯით მიისწრაფის წინ რუსული მეცნიერება

დირექტორი. ის ხაზინაში მიიჩქარის ბ-ნო ჩემო, დღეს

ერთ ბედ ქვეშა ვართ
ქალავ მედა შენ:
ბედმა გვარგუნა
ბორკილები ჩვენ!